ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-12/14244553-16

"22" 10 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ჯიქიას ქუჩა, №7-ში (საკ. კოდი №01.14.05.008.194 და №01.14.05.008.195) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ა" და "ბ" ბლოკები) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1442643 12.08.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ჯიქიას ქუჩა, №7-ში (საკ. კოდი №01.14.05.008.194 და №01.14.05.008.195) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის დასრულებული. არ არის დასრულებული საყრდენი კედლების და გამწვანების ზოლების მოწყობა. შენობების ძირები გაულესავია და არ არის შეღებილი. შენობის ძირი ზოგიერთ ადგილას გამოსულია კედლის სიბრტყიდან. გრუნტის ნიშნულები არ შეესაბამება საპროექტოს. არ არის გატანილი სამშენებლო ნაგავი. თერმულ ნაკერებს შორის კედელები ნაწილობრივ არ არის შევსებული. კარბოლუქსი მოწყობილია ლითონის მოაჯირის შიდა მხრიდან. კარბოლუქსის გადახურვის ქვეშ დამატებულია ლითონის დეტალები. დამატებულია სატელიტური თეფშები.

ბლოკი „ა": „თ-ი" მონაკვეთში არ არის მოწყობილი პანდუსები. ღიობი შეუვსებელია. სადარბაზოში შესასვლელებთან არ არის მოწყობილი ფილები. სადარბაზოში პანდუსის ნაცვლად მოწყობილია კიბის საფეხურები. „7-6" მონაკვეთში სადარბაზოს კეთილმოწყობა არ არის დასრულებული. სახურავზე შეცვლილია სამერცხლეების ფორმა. „ე-თ" მონაკვეთში სამერცხლეს მონაცვლებული აქვს ადგილი. „ბ-გ" მონაკვეთში კარის ნაცვლად მოწყობილია ღიობი. პირველ სართულზე „ბ-გ" მონაკვეთში კარი არ არის მოწყობილი. „9-9" ღერძზე „ე-დ" მონაკვეთში ღიობი არ არის შევსებული. კარის გარშემო კედელი არ არის გალესილი. „8-7" მონაკვეთში არ არის მოწყობილი ფანჯრის მინა. „თ-ი" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. „5-7" მონაკვეთში მოწყობილია გამათბობლის ქვაბები. „7-6" მონაკვეთში დამატებულია გამწოვი.

ბლოკი „ბ": „დ-გ" და „8-3" მონაკვეთებში, შენობის წინ არ არის მოწყობილი ფილა. „გ-ბ" მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგის ნახატი. „ბ-ა" მონაკვეთში ფრამუგა არ არის შევსებული. „1-3" და „3-2" მონაკვეთებში შეცვლილია შენობის ძირის ფორმა. „7-5" მონაკვეთში ღიობებზე დამატებულია გისოსები. „ზ-თ" მონაკვეთში დამატებულია გამწოვი.

პროექტის ხარვეზი: საყრდენი კედლები არ არის ნაჩვენები ფასადის ნახაზებზე. სამერცხლეები და გამწოვი შახტები არ არის აღნიშნული ფასადების ნახაზებში.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის

საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ჯიქია“-ს, ლევან აფციაურს, ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ჯიქიას ქუჩა, №7-ში (საკ. კოდი №01.14.05.008.194 და №01.14.05.008.195) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ა" და "ბ" ბლოკები) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/1424553-16 02.09.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი